სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №76/01-01 ,, 04.06 " 2014წ.
დანართი №1

2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრებისათვის გერმანულენოვანი გაცვლითი პროგრამების ფარგლებში მოკლევადიანი სასწავლო სტიპენდიების მოსაპოვებელი კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატთა შეჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია სსიპ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების მიერ გერმანულენოვანი გაცვლითი პროგრამების ფარგლებში მოკლევადიანი სასწავლო სტიპენდიების მოპოვება 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრებისათვის.

2. კანდიდატი და სტიპენდიატი

ნომინირებული სტუდენტები შეირჩევიან კანდიდატთა შორის, რომლებიც ვლინდებიან თსუ შესარჩევ კომისიასთან გასაუბრების შემდგომ.

3. კანდიდატის შერჩევა

ა) კანდიდატთა შერჩევა ხორციელდება შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით

1. მოტივაციის წერილი
2. ზეპირი პრეზენტაცია (გერმანულ ენაზე)
3. აკადემიური მოსწრების საერთო საშუალო ქულა

4. კომისიის შეფასება

ა) კომისია ახორციელებს კანდიდატის მოტივაციის წერილისა და ზეპირი პრეზენტაციის/ გასაუბრების შეფასებას.

ბ) კანდიდატის მოტივაციის წერილისა და ზეპირი პრეზენტაციის/გასაუბრების შეფასება ხორციელდება არაუმეტეს 10 ქულით შემდეგი თანაფარდობით:

ბრწყინვალე -	10 ქულა
ძალიან კარგი -	9 ქულა
კარგი -	8 ქულა
დამაკმაყოფილებელი -	7 ქულა
საკმარისი -	6 ქულა
არადამაკმაყოფილებელი -	5 ქულა და ნაკლები

გ) თუ კანდიდატის მოტივაციის წერილი ან ზეპირი პრეზენტაცია შეფასებულ იქნება არადამაკმაყოფილებლად (5 ქულა და ნაკლები), მისი კანდიდატურა იხსნება შესარჩევი კონკურსიდან.

5. გამარჯვებულის გამოვლენა

ნომინირებული სტუდენტის გამოვლენა ხდება კომისიის მიერ კანდიდატთა შერჩევის გზით.